



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 12 აპრილის
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33

სხდომის დაწყების დრო: 19 საათი

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, ციცილო ცხვედიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) თათია ქაჯაიას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით

განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1 იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თათია ქაჯაიას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

ბ) კონსტანტინე დანელიას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1 იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს კონსტანტინე დანელიას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

გ) დავით შარიქაძის 2019 წლის 27 მარტს განმეორებით წარმოდგენილ განცხადებას გაწევრიანების თაობაზე, რომელითაც ითხოვდა მის მიერ 2018 წლის 28 დეკემბერს გაწევრიანების თაობაზე წარმოდგენილი განცხადების თავიდან განხილვას, ვინაიდან მის მიერ წარმოადგენილი ცნობით დასტურდებოდა მისი პროკურარად ან პროკურორთან გათანაბრებულ პოზიციაზე მუშაობის ფაქტი. განცხადებას თან ერთვის 2019 წლის 6 მარტს, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გაცემული ცნობა 2002-2004 წლებში თბილისის რეგიონული სამხედრო პროკურორის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დავით შარიქაძის 2018 წლის 28 დეკემბრის განცხადება გაწევრიანების თაობაზე არ დაკმაყოფილდა აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის შესახებ 2005 წლის 12 თებერვლიდან - 2018 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით, არ დადასტურდა, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრიანდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

წევრები გაეცნენ დავით შარიქაძის მიერ დამატებით წარდგენილ განცხადებას თანდართული დოკუმენტებით და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2002 წლის 3 დეკემბრიდან - 2004 წლის 14 იანვრამდე მოქმედ რედაქციას, რომლის 49-ე მუხლის თანახმად, პროკურორი განმარტებული იყო როგორც – საქართველოს გენერალური პროკურორი, ყველა ქვემდგომი პროკურორი, პროკურორის მოადგილე, უფროსი თანაშემწე, თანაშემწე, სამმართველოს, განყოფილების, ნაწილის უფროსი და მისი მოადგილე, გენერალური ინსპექციის უფროსი და მისი მოადგილე, გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრის უფროსი, გენერალური პროკურატურის სამეცნიერო-ტექნიკური სამსახურის უფროსი, პროკურორ-კრიმინალისტი და პროკურორ-სტაჟიორი.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული ჩანაწერი ადასტურებს, დავით შარიქაძის პროკურორის გათანაბრებულ პოზიციაზე მუშაობის ფაქტს და შედეგად დასტურდება, რომ მის მიერ პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ 10 წლის განმავლობაში გამწესდა პროკურორად, შესაბამისად მის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობა შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან.

აღნიშნული საკითი დადგა ღია კენჭისყრაზე და მსჯელობის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დავით შარიქაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

დ) ნიკა ვარშალომიძის 2018 წლის 19 დეკემბრის განცხადებას გაწევრიანების შესახებ და დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტს - ორგანიზაცია „შემეცნებითი აკადემიის“ დირექტორის მამუკა მახარაძის მიერ გაცემულ ცნობას, ნიკა ვარშალომიძის აღნიშნულ ორგანიზაციაში იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 10 ოქტომბრიდან - 2017 წლის 15 მაისამდე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნიკა ვარშალომიძემ ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 19 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და განაცხადეს, რომ წარმოდგენილი ცნობით კვლავ არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების 1 წლის სტაჟი, რითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ მის შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე

2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(ა) შეჩერდეს ნიკა ვარშალომიძის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;

(ბ) ნიკა ვარშალომიძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;

(გ) განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების: როინ აბაშიძეს, ეკატერინე მოღებაძისა და თამარ ხუბუნაიშვილის წარმოდგენილ განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი როინ აბაშიძის, ეკატერინე მოღებაძის, თამარ ხუბუნაიშვილის განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: დავით შარიქაძე, ჯემალ ჩიტიშვილი, ზაზა ფანცულაია, 2019 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ანა უცუნაშვილი, ქეთევან კანდელაკიშვილი, თემურ ცეცხლაძე, ზინაიდა დავითაშვილი, დავით მღებრიშვილი, მაკა დადეგაშვილი, ნინო მაჭავარიანი, ირაკლი წერეთელი

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2018-2019 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო

დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოემვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამავდროულად, 2019 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს: ანა უცუნაშვილს, ქეთევან კანდელაკიშვილს, თემურ ცეცხლაძეს, ზინაიდა დავითაშვილს, დავით მღებრიშვილს, მაკა დადეგაშვილს, ნინო მაჭავარიანს, ირაკლი წერეთელს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი 4. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) ანა ჟღენტის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნავდა, რომ რომ იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას და ამ ეტაპზეც აგრძელებდა მკურნალობას.

წევრებმა მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ანა ჟღენტი 2015-2018 წლებში აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო აღნიშნული წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

წევრებმა განაცხადეს, რომ ანა ჟღენტი არ ექვემდებარება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლების საშუალებით კრიტერიუმებს, თუმცა, მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ანა ჟღენტის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლების თაობაზე.

დ) მანანა ჩაჩანიძის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები (თანდართული იყო ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N 100/ა), რის გამოც იგი ვერ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მანანა ჩაჩანიძე სარგებლობს საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50%-იანი შეღავათით. ასევე, 2017-2018 წლებში აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებული იყო აღნიშნული წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან.

წევრებმა განაცხადეს, რომ მანანა ჩაჩანიძე არ ექვემდებარება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლების სხვა საშუალებით კრიტერიუმებს, თუმცა, მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მანანა ჩაჩანიძეს განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლების თაობაზე.

ე) თამარ კაკაბაძის განცხადებას 2017-2018-2019 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები (თანდართული იყო ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N 100/ა, საშემოსავლი გადასახადის წლიური დეკლარაცია, განქორწინების მოწმობის ასლი, ჩატარებული სამედიცინო კვლევების შესახებ დოკუმენტების ასლები), რის გამოც ვერ იგი ვერ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თამარ კაკაბაძის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი მარტოხელა დედის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რომლის საფუძველზეც მასზე გავრცელდებოდა მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირებისთვის საწევრო გადასახადზე დადგენილი 50%-იანი შეღავათი. ამასთან, წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2014-2015 წლებში იგი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო აღნიშნული წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან.

წევრებმა განაცხადეს, რომ თამარ კაკაბაძე არ ექვემდებარება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლების საშეღავათო კრიტერიუმებს, თუმცა, მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თამარ კაკაბაძის განცხადება 2017-2018-2019 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი 5. 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2019 წლის 12 აპრილის მდგომარეობით, 2019 წლის საწევრო დავალიანება უფიქსირდება ასოციაციის 3426 წევრს, ხოლო 2017-2018 წლების საწევრო დავალიანება 587 ადვოკატს.

წევრები გაეცნენ 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სიას და მსჯელობის შედეგად აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) 2019 წლის 1-ლი მაისიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2017-2018--2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;

(ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N36, ტელეფონი: 032 2 98 78 78;

(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 1-ლი მაისი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

(დ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

(ე) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია /Georgian Bar Association/) საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 20 მაისი.

(ზ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2019 წლის 30 მაისი.

(თ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება და 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეწყვეტის თაობაზე გამოქვეყნდეს გაზეთ „რეზონანში“, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია /Georgian Bar Association), უფლებამოსილებაშეწყვეტილ ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, მათ მიერ ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ი) 2019 წლის 1-ელ მაისამდე დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია.

საკითხი 7. აღმასრულებელი მდივნის მოხსენება იურიდიული პრობონო სისტემის შესახებ

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია იურიდიული პრობონო სისტემების გაცნობის მიზნით, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს უნგრეთის, ჩეხეთის და პოლონეთის ადვოკატთა ასოციაციების, ასევე, არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო იურიდიული კომპანიებისა და PILnet-ის წარმომადგენლებთან.

აღმასრულებელმა მდივანმა აღნიშნა, რომ პრობონო მიმართულების განვითარებას ადვოკატთა ასოციაციის სტრატეგიულ მიზნებს შორის პრიორიტეტული ადგილი უკავია და უახლოეს პერიოდში დაგეგმილია პრობონო პროექტების განხორციელება, რომელიც პოზიტიური სოციალური ეფექტის მომტანი იქნება ასოციაციისა და საზოგადოებისთვის.

საკითხი 8. ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: **დამტკიცდეს ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).**

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე